ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

2016 წლის 5 აგვისტო

ქ. გორი

,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №13 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, ვებგვერდი, 08/08/2014; 010250050.35.174.016014) დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლს (სამსახურის ფუნქციები) დაემატოს „ღ“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) პრიორიტეტების მიხედვით ინფრასტრუქტურული პროექტებისა და შესაბამისი პროგრამების განსაზღვრა-მომზადებას, დაგეგმვას, მათი განხორციელების კოორდინაციას“.

მუხლი 2

,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №13 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, ვებგვერდი, 08/08/2014; 010250050.35.174.016014) დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის (ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების ფუნქციები) „პ“ პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,პ) პრიორიტეტების მიხედვით ინფრასტრუქტურული პროექტების განსაზღვრას და დაგეგმვას, მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვებით განხორციელებული შესაბამისი სამუშაოების, მომსახურების ან/და საგნის ტექნიკური დავალებების, საპროექტო დოკუმენტაციების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ილია მეტრეველი**